კონფიდენციალურობის შეტყობინება ტრენინგით დაინტერესებული პირისთვის

ტრენინგით დაინტერესებულ პირთა პერსონალური მონაცემების (შემდგომ - მონაცემები) დამუშავება ა(ა)იპ - სი-არ-არ-სი საქართველოს (შემდგომ - CRRC-საქართველო) მიერ განხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მოთხოვნათა დაცვით.

მიმდინარე განაცხადის ფარგლებში დამუშავდება ის მონაცემები, რომელსაც თქვენ გაგვიზიარებთ ფორმის შევსებისას (მაგ., სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია და ინფორმაცია გამოცდილების შესახებ).

CRRC-საქართველოს მიერ ზემოაღნიშნული ინფორმაცია ინახება კონკურსის დასრულებიდან 1 წლის განმავლობაში, თუ არ არსებობს მონაცემთა სხვა ვადით დამუშავების სამართლებრივი საფუძველი. მონაცემთა შენახვის ვადის გასვლის შემდეგ, მონაცემები წაიშლება/განადგურდება.

მონაცემთა დამუშავების მიზანია განაცხადის მოთხოვნებთან კანდიდატის შესაბამისობის დადგენა და ტრენინგში მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება. მონაცემთა დამუშავების საფუძველია კანდიდატის განცხადების განხილვა, რის საფუძველზეც ტრენინგში ჩართვის გადაწყვეტილება მიიღება (კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი).

კანდიდატის შესახებ მოწოდებული ინფორმაცია მე-3 პირებს არ გადაეცემათ. იგი სარგებლობს კანონის III თავით გარანტირებული უფლებებით, მათ შორის, მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღების, მონაცემთა გასწორების, განახლების, შევსების, დამუშავების შეწყვეტის, წაშლის, განადგურებისა და სხვა უფლებებით.

ორგანიზაციის მიერ პერსონალური მონაცემების დაცვის პრაქტიკისა და კანდიდანტის, როგორც მონაცემთა სუბიექტის მიერ უფლებებით სარგებლობის თაობაზე შეგიძლიათ დაუკავშირდეთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს - შპს “მონაცემთა დაცვის გუნდს”(info@dpt.ge) ან CRRC-საქართველოს (crrc-geo@crrccenters.org).